გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 179 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოში“. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. დავესწარი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 23 საკითხის განხილვაში, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 10 სხდომას მონაწილეობა მივიღე 43 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- ,,კენჭაურას“ უბანში საჭიროა სარწყავი არხის მიმდებარედ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება და გზის სრული რეაბილიტაცია
- ჩინეთის უბანში 700 მეტრიანი გზის მოასფალტება.
- ოხერის უბანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.
- მოსახლეობა ითხოვს ასევე ჩინეთის უბანში, სკვერის მიმდებარედ არსებული ტრანსპორმატორის, სხვა ლოკაციაზე გადატანას.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

მოგახსენებთ განვლილ პერიოდში სოფელ ხიდისთავში გაკეთებულ ინფრასტრუქტურულ პროეტებს, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, კერძოდ:

- სოფელ ხიდისთავში მოასფალტდა 3 კილომეტრიანი გზა ,,პლატფორმის“ უბანში.
- ჩინეთის უბანში გაკეთდა სკვერი.
- მოიხრეშა შიდა საუბნო გზები.
- მოხდა კლუბის შენობის და ამბულატორიის დემონტაჟი, სადაც გაკეთდება ამბულატორია და სპორტული სივრცე.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ხიდისთავი **2024 წლის 27 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ბორის გოგიჩაიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ბორის გოგიჩაიშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ბორის გოგიჩაიშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა

მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ბორის გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: სოლომონ მიდელაშვილმა და ნინო გურგენაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე.

საკრებულოს წევრი : ბორის გოგიჩაიშვილი;